ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. ივლისი 15 № 16 თბილისი

## შინაარსი

### სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

64. „საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის დაფინანსების მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 თებერვლის დადგენილებასთან დაკავშირებით სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის თაობაზე გამოცემულ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 10 მაისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის შესახებ.

65. აფხაზეთის ასსრ-ში გადმოსახლებულებზე იმ შეღავათების გავრცელების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული არიან კოლხიდაში გადმოსახლებულთათვის.

66. 1939 წელს სასოფლო სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ.

...ЛИССКИЙ ФИЛИАЛ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

**64. „საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის დაფინანსების მოწესრიგების შესახებ" გამოცემული სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 26 თებერვლის დადგენილებასთან დაკავშირებით სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის" თაობაზე გამოცემულ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 10 მაისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის შესახებ.**

შესაბამისად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 10 მაისის დადგენილებისა „საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის დაფინანსების მოწესრიგების შესახებ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 26 თებერვლის დადგენილებასთან დაკავშირებით სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის თაობაზე (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 31, მუხ. 210) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1) საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს 1925 წ. 10 დეკემბრის დადგენილება „სავაკვეთილო დებულების" სახელმძღვანელოდ შემოღების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 113).

2) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 19 აპრილის დადგენილება „სამრეწველო მშენებლობის რაციონალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 11, მუხ. 95).

3) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 15 ივნისის დადგენილება „მთავარი სახის სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების რაიონებითი ლიმიტების პერიოდულად გამოქვეყნების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 14, მუხ. 150).

4) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 17 დეკემბრის დადგენილება „მშენებელი მუშების მომზადებისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად შრომის ბირჟების და საზოგადოება" „უსტანოვკა"-ს ადგილობრივ განყოფილებებისათვის სადგომების მიცემის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 1, მუხ. 12).

5) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 16 აგვისტოს დადგენილება „მუშა-ძალით მშენებლობის უზრუნველყოფის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 16, მუხ. 264).

6) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 4 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან სამშენებლო სამუშაოთა ტექნიკურ ეკონომიური და სატვირთო ნორმირების მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის მოწყობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 11, მუხ. 71).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 9 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სასანიტარო-სატექნიკო გამართულობათა და გაწყობილების პროექტირებისა და მონტაჟის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 10, მუხ. 130).

8) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 27 მაისის დადგენილება „კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გაძლიერების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 14, მუხ. 203; № 17, მუხ. 238; 1934 წ. № 1, მუხ. 15; 1935 წ. № 10, მუხ. 52);

9) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. 26 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 15);

10) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ, 2 ნოემბრის დადგენილება „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის მოწესრიგების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 28, მუხ. 171);

11) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო 1937 წ. 4 მაისის № 468 დადგენილება „რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის ობიექტების სატიტულო სიების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ“.

**2.** შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 25 ოქტომბრის დადგენილებაში „რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 33, მუხ. 207, 1936 წ. № 11, მუხ. 65; № 28, მუხ. 172):

1) 1 მუხლში ამოიშალოს სიტყვები „ან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს“.

2) 2 მუხლში ამოიშალოს სიტყვები „საბინაო კოოპერაციის მშენებლობის სატიტულო სიებს, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიუხედავად“ და „ან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს“.

3) მე-9 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„9. ნებადართულია დაფინანსება დამტკიცებული საპროექტო დავალების საფუძველზე და ტიტულის არსებობის შემთხვევაში“:

ა) ტექნიკური პროექტის შედგენისა და მისთვის საჭირო საძიებელი და საგამოკვლევო მუშაობის ხარჯებისა — სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების მიხედვით;

ბ) ისეთი მოსამზადებელი მუშაობის ხარჯებისა, რაც პროექტებს არ საჭიროებს (ტერიტორიის ასათვისებელი სამუშაოები, საშენი მასალების დამზადება და საშენი მექანიზმების შეძენა) — სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) პირველი რიგის მოსამზადებელ სამუშაოთა ხარჯების (მისასვლელი გზების გაყვანა, კარიერების, დამხმარე საწარმოთა, ბინების მოწყობა და სხვა).

დამტკიცება პროექტებისა, ხარჯთაღრიცხვებისა და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გამოანგარიშებისა ზემოჩამოთვლილ მოსამზადებელ ხარჯებზე და სამუშაოებზე სწარმოებს იმავე ინსტანციაში, რომელიც ამტკიცებს მშენებლობის ტექნიკურ პროექტს.

საპროექტო დავალების დამუშავებისა და მასთან დაკავშირებულ საძიებელ და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება სწარმოებს, ამ ხარჯებზე ტიტულის არსებობის შემთხვევაში, იმ ინსტანციის მიერ დამტკიცებულ სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების მიხედვით, რომელიც ამტკიცებს ტექნიკურ პროექტს".

4) გამორიცხულ იქნას მე-9 მუხ.შენიშვნა და მე-10 მუხ.

5) შეტანილ იქნას მუხ. 10¹ და 10² შემდეგი შინაარსისა:

„10¹. იმ დაბებში, რომლებიც ახლად შენდება, საცხოვრებელი ბინების და კულტურული საყოფაცხოვრებო მშენებლობის დასაფინანსებლად საჭიროა, გარდა მიღებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მასალებისა, დაბის დაგეგმვის სათანადოდ დამტკიცებული პროექტის არსებობა".

„10². აკრძალულია კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიებში შეტანა ისეთი მშენებლობებისა, რომელთაც მშენებლობის დაწყების წინა წლის 1 ნოემბრისათვის არ ექნებათ დამტკიცებული საპროექტო დავალებები".

**3.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ დაწესებულებას ერთი დეკადის ვადაში დაამუშაონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის იმ ობიექტების ნუსხა, რომელნიც შეტანილ უნდა იქნან კაპიტალურ სამუშაოთა 1940 წ. გეგმაში, და აგრეთვე ღონისძიებანი იმისათვის, რომ 1939 წ. 1 ნოემბრისათვის უზრუნველყოფილ იქნას 1940 წ. დასაწყებ მშენებლობათა საპროექტო დავალებების შედგენა და დამტკიცება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. ივნისის 20. № 1136.
თბილისი.

**65. აფხაზეთის ასსრ-ში გადმოსახლებულებზე იმ შეღავათების გავრცელების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია კოლხიდაში გადმოსახლებულთათვის.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 20 ივნისის ნებართვის შესაბამისად გავრცელებულ იქნას აფხაზეთის ასსრ-ში გადმოსახლებულებზე ყველა ის შეღავათები, რაც გათვალისწინებულია სასოფლო სამეურნეო გადმოსახლებულთათვის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ნოემბერს „სასოფლო-სამეურნეო გადმოსახლების შესახებ“ გამოცემული დადგენილების 1-ა, 2,9, 11-გ, 12, 14, 15, 17-ვ, 18-ა, ბ და გ მუხლებით (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 73, მუხ. 352).

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ. ს—ის საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. ივნისის 29. № 1230.
თბილისი.

---

**66. 1939 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს 1939 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების დროს იხელმძღვანელონ მოქმედი კანონით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და აგრეთვე სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით „1939 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების წესის შესახებ“.

2. დაწესდეს რაიონების მიხედვით 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემდეგი საშუალო განაკვეთები იმ კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც აქვთ შემოსავალი განუსაზოგადოებელი სოფლის მეურნეობიდან:

ა) ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, დუშეთის, თიანეთის, ქვემო სვანეთის, ყაზბეგის და ცაგერის რაიონებში . . . 20 მან. მეურნეობაზე

№ 16
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ამბროლაურის, ბაშკიჩეთის, ონის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, წალკის, ჰიათურის და საჩხერის რაიონებში . . . . . . . . . . . . . . 23 მან. მეურნეობაზე

გ) აბაშის, აღბულაღის, ბორჯომის, საგარეჯოს, ფოთის, ჩონატაურის, ჩხარის და ჩხოროწყუს რაიონებში . . . . . . . . . . . . . . . 26 მან. „

დ) ბორჩალოს, გეგეჭკორის, ყარაიის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წულუკიძის, ხობის, თბილისის და მცხეთის რაიონებში . . . . . . . . . . . 30 მან. „

ე) თელავის, ვანის, კასპის, სამტრედიის, ქუთაისის წყალტუბოს, ზესტაფონის, ქარელის და ხაშურის რაიონებში . . . . . . . . . . . . . 33 მან. „

ვ) ბაღდათის, ზუგდიდის, გორის, ლანჩხუთის და ლუქსემბურგის რაიონებში . . . . . . . . . . 35 მან. „

ზ) გურჯაანის, ლაგოდეხის, სიღნაღის, წითელ-წყაროს, ყვარლის და მახარაძის რაიონებში . . . 40 მან. „

3. აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში იმ კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც აქვთ შემოსავალი განუსაზოგადოებელი სოფლის მეურნეობიდან, გადასახადის საშუალო განაკვეთი დაწესდეს 35 მანეთის რაოდენობით მეურნეობებზე, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 20 მან. მეურნეობაზე.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დააწესონ გადასახადის საშუალო განაკვეთები ცალკეული რაიონებისათვის.

4. რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა დააწესონ გადასახადის განაკვეთები ცალკეული სოფლებისათვის, ხოლო საჭირო შემთხვევებში ცალკეული კოლმეურნეობებისათვისაც, ხოლო იმ პირობით, რომ დაცულ იქნას რაიონისათვის დაწესებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საშუალო განაკვეთი.

კოლმეურნეობის ფარგლებში კოლმეურნეთა ცალკეული მეურნეობებისათვის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთის დაწესება არ დაიშვება.

5. იმ კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც იმ შემოსავალთან ერთად, რასაც ისინი განუსაზოგადოებელი სოფლის მეურნეობიდან იღებენ, აქვთ მუდმივი შემოსავალი არაკოოპერირებულ შინამრეწველობიდან გადასახადის განაკვეთი გადიდდება:

ა) ახალქალაქის, აღბულაღის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, კასპის, გეგეჭკორის, მახარაძის, სამტრედიის, ქუთაისის, ჩხოროწყუს, წალკის, ჰიათურის, ხაშურისა და წულუკიძის რაიონებში . . . . . . . . . . . . . . . 80 %-ით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქართველოს დანარჩენ რაიონებში, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის რაიონებისა, გადასახადის განაკვეთი გადიდდეს იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც ეწევიან მეთუნეობას . . . . . . . . . . . . . . . . . . . 40 %-ით

მეურნეობებისათვის, რომლებიც ეწევიან საპარიკმახერო, საჩექმე, სამკერვალო, სადურგლო და სამღებრო რეწვას . 80 %-ით

და იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც ეწევიან სხვა სახის რეწვას . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 60 %-ით

6. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 31 მუხ. შესაბამისად, დააწესონ თითოეული რაიონისათვის გადასახადის განაკვეთების გადიდების საბოლოო ოდენობა იმ კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც იმ შემოსავალთან ერთად, რასაც ისინი განუსაზღვრელი სოფლის მეურნეობიდან იღებენ, აქვთ მუდმივი შემოსავალი საშინამრეწველო-სახელოსნო რეწვიდან.

7. იმ შემთხვევებში, როდესაც საშინამრეწველო-სახელოსნო რეწვას შემთხვევითი ხასიათი აქვს და შემოსავალი რეწვიდან უმნიშვნელოა, კოლმეურნეთა ასეთ მეურნეობებისათვის გადასახადის განაკვეთები არ გადიდდება.

8. შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 50 მუხლისა, დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, თბილისის, ქუთაისის, ფოთის საქალაქო საბჭოებს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს გაატარონ ქალაქებში და მუშათა დაბებში იმ პირთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა, რომელთაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის მიწები ან ყავთ პირუტყვი იმ რაოდენობით, რომელიც მეტია მოცემული ადგილის კოლმეურნეთათვის დაწესებულ ნორმაზე.

9. დაწესდეს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებისათვის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქართველოს სსრ ცალკეული რაიონებისათვის მემინდვრეობიდან, მემდელოობიდან, მეცხოველეობიდან, მებოსტნეობიდან, მებაღჩეობიდან, მებაღეობიდან, მევენახეობიდან, მეთამბაქოობიდან და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალური დარგებიდან ერთპიროვნულ მეურნეობათა შემოსავლიანობის საშუალო ნორმები, თანახმად დანართისა:

შემოსავლიანობის ამ საშუალო ნორმების ფარგლებში.

ა) აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დააწესონ შემოსავლიანობის საშუალო ნორმა ცალკეული რაიონებისათვის;

ბ) რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა დააწესონ შემოსავლიანობის საშუალო ნორმა ცალკეული სასოფლო საბჭოებისა და სოფლებისათვის.

10. ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ არასამიწათმოქმედო სიქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რაც საქართველოს სსრ ყველა რაიონისათვის დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილებების მიერ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 59 მუხლის შესაბამისად, შედის დასაბეგრ შემოსავალში შემდეგი რაოდენობით:

ა) სადგომების გაქირავებიდან, მეურმეობა-მეეტლეობიდან, მეჩექმეობიდან და საპარიკმახერო რეწვიდან მიღებული შემოსავალი 100 %

ბ) ხე-ტყის დამზადებაზე (ტყის დამუშავება, გამოზიდვა, დაცურება და სხვ.) და ტორფის დამუშავებაზე მუშაობიდან მიღებული შემოსავალი . . . . . . . . . . . . . . . 20 %

გ) საშინამრეწველო-სახელოსნო რეწვიდან და სხვა სახის არასამიწათმოქმედო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი . . . 80 %

**11**. დაწესდეს, რომ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა მიერ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავალი, განსაზღვრული რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილებების მიერ, შედის დასაბეგრ შემოსავალში, შემდეგი რაოდენობით:

ა) 65 % მეურნეობათა საბაზრო შემოსავლის თანხიდან — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, თიანეთის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ფოთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურის, საჩხერის, ხობის რაიონებში და აჭარის ასსრ ქედისა და ხულოს რაიონებში;

ბ) 75 % მეურნეობათა საბაზრო შემოსავლის თანხიდან — აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასსრ ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში და ალბულაღის, ბოლდათის, ბორჩალოს, გორის, გურჯაანის, ვანის, ზუგდიდის, თელავის, კასპის, ლაგოდეხის, ლუქსემბურგის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, წითელწყაროს, თბილისის, მცხეთის, ქუთაისის, წყალტუბოს, ყარაიის, ყვარლის, ცხაკაიას, წულუკიძის, ხაშურის, ქარელის და ზესტაფონის რაიონებში.

**12**. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი გადასახადს იხდიან შემდეგ ვადებში:

1-ლი ვადა — 15 სექტემბრისათვის გადასახადის განაკვეთის 25 %
მე-2 „ — 15 ოქტომბრისათვის „ „ 45 %
მე-3 „ — 1-ლ დეკემბრისათვის „ „ 30 %

**13**. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოსული მთელი თანხები შედის ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი წესების დაცვით:

ა) საქართველოს სსრ ყველა რაიონში მოცემული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გადასახადის სახით შემოსული თანხის არანაკლებ 10 %-სა შედის უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი ნაწილი — სათანადო რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტში, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის რაიონებისა;

ბ) ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში გადასახადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახით შემოსული თანხები გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ამ მუხლის „ა“ პუნქტის წესით სათანადო სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებში გადადის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებით განაწილება რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტებსა და ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის ბიუჯეტებს შორის;

გ) ქალაქების ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოსული თანხები მთლიანად შედის საქალაქო ბიუჯეტებში.

**14.** წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, თბილისის, ქუთაისის, ფოთის საქალაქო საბჭოებს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ხუთი დღის ვადაში გამოიტანონ გადაწყვეტილება ამ დადგენილების შესაბამისად 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების წესის შესახებ;

ბ) განსაკუთრებული და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების და მათი დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვას, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების სისწორეს და „ერთპიროვნულ მეურნეობათა მიმართ გადასახადებისა და სხვა ვალდებულებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წ. 19 აპრილის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 18, მუხ. 117) განუხრელად გატარებას ცხოვრებაში.

**15.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) მიაწოდოს რაიონებს საჭირო მასალები და ინსტრუქციები და უზრუნველჰყოს რაიონები კონკრეტული დახმარებითა და ხელმძღვანელობით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სწორად გატარების საქმეში;

ბ) 1939 წ. 10 სექტემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შედეგების შესახებ.

**16.** ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 1-ლი ივლისის № 959 დადგენილება „კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. ივლისის 9. № 1300.

თბილისი.

ბულია რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილებების მიერ, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის 59 მუხლის შესაბამისად, შედის დასაბეგრ შემოსავალში შემდეგი რაოდენობით:

ა) სადგომების გაქირავებიდან, მეურმეობა-მეეტლეობიდან, მეჩექმეობიდან და საპარიკმახერო რეწვიდან მიღებული შემოსავალი 100 %

ბ) ხე-ტყის დამზადებაზე (ტყის დამუშავება, გამოზიდვა, დაცურება და სხვ.) და ტორფის დამუშავებზე მუშაობიდან მიღებული შემოსავალი . . . . . . . . . . . . . . . . 20 %

გ) საშინამრეწველო-სახელოსნო რეწვიდან და სხვა სახის არასამიწათმოქმედო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი . . . 80 %

**11.** დაწესდეს, რომ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა მიერ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვისაგან მიღებული შემოსავალი, განსაზღვრული რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილებების მიერ, შედის დასაბეგრ შემოსავალში, შემდეგი რაოდენობით:

ა) 65 % მეურნეობათა საბაზრო შემოსავლის თანხიდან — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, თიანეთის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ფოთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ჭიათურის, საჩხერის, ხობის რაიონებში და აჭარის ასსრ ქედისა და ხულოს რაიონებში;

ბ) 75 % მეურნეობათა საბაზრო შემოსავლის თანხიდან — აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასსრ ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში და ალბულადის, ბაღდათის, ბორჩალოს, გორის, გურჯაანის, ვანის, ზუგდიდის, თელავის, კასპის, ლაგოდეხის, ლუქსემბურგის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, წითელწყაროს, თბილისის, მცხეთის, ქუთაისის, წყალტუბოს, ყარაიის, ყვარლის, ცხაკაიას, წულუკიძის, ხაშურის, ქარელის და ზესტაფონის რაიონებში.

**12.** კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი გადასახადს იხდიან შემდეგ ვადებში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1-ლი ვადა | — 15 სექტემბრისათვის | გადასახადის | განაკვეთის | 25 % |
| მე-2 „ | — 15 ოქტომბრისათვის | „ | „ | 45 % |
| მე-3 „ | — 1-ლ დეკემბრისათვის | „ | „ | 30 % |

**13.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოსული მთელი თანხები შედის ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი წესების დაცვით:

ა) საქართველოს სსრ ყველა რაიონში მოცემული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გადასახადის სახით შემოსული თანხის არანაკლებ 10 %-ისა შედის უშუალოდ სასოფლო ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი ნაწილი — სათანადო რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტში, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის რაიონებისა;

ბ) ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში გადასახადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახით შემოსული თანხები გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ამ მუხლის „ა“ პუნქტის წესით სათანადო სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებში გადადის ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებით განაწილება რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტებსა და ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის ბიუჯეტებს შორის;

გ) ქალაქების ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოსული თანხები მთლიანად შედის საქალაქო ბიუჯეტებში.

**14.** წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, თბილისის, ქუთაისის, ფოთის საქალაქო საბჭოებს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ხუთი დღის ვადაში გამოიტანონ გადაწყვეტილება ამ დადგენილების შესაბამისად 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების წესის შესახებ;

ბ) განსაკუთრებული და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების და მათი დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვას, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების სისწორეს და „ერთპიროვნულ მეურნეობათა მიმართ გადასახადებისა და სხვა ვალდებულებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წ. 19 აპრილის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 18, მუხ. 117) განუხრელად გატარებას ცხოვრებაში.

**15.** წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) მიაწოდოს რაიონებს საჭირო მასალები და ინსტრუქციები და უზრუნველჰყოს რაიონები კონკრეტული დახმარებითა და ხელმძღვანელობით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სწორად გატარების საქმეში;

ბ) 1939 წ. 10 სექტემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების შედეგების შესახებ.

**16.** ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 1-ლი ივლისის № 959 დადგენილება „კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. ივლისის 9. № 1300.

თბილისი.

დანართი

## ერთპიროვნულ მეურნეობათა შემოსავლიანობის ნორმები ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის მიხედვით.

| ავტონომიურ რესპუბლი-კებისა, ავტონომიურ ოლ-ქისა და რაიონების დასახელება | მარცვლეულ. და სხვა კულტურ. (მათ შორის [illegible]) | ბოსტნეული და ბახ-ჩები | კარტოფილი | ვენახები | ხილის ბაღები და სანერგეები | მანდარინების, ლიმო-ნის, ფორთოხლის და სხვ. ციტრუსების ნარგავები | ჩაის პლანტაციები | დაფნის ნარგავები | ბუნებრივი სათიბები | თამბაქო | ბამბა სარწყავ მი-წებზე | შაქრის ჭარხალი | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | მეწველები, ხარები და კამეჩები | ცხენები და ჯორები | ღორები | ცხვრები და თხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 1. აბაშის | 91 | 569 | — | 713 | 705 | ყველგან 5.000 მანეთი | — | ყველგან 1.500 მანეთი | 16 | 325 | — | ყველგან 120 მანეთი | 76 | 69 | 81 | ყველგან 15 მანეთი | ყველგან 6 მანეთი |
| 2. ადიგენის | 77 | 457 | 187 | — | 775 | | — | | 20 | 477 | — | | 55 | 53 | 80 | | |
| 3. ამბროლაურის | 86 | 518 | 109 | 814 | 705 | | — | | 16 | — | — | | 76 | 67 | 84 | | |
| 4. ასპინძის | 66 | 457 | 217 | — | 775 | | — | | 20 | 477 | — | | 55 | 53 | 80 | | |
| 5. ალბულალის | 80 | 783 | 286 | 1128 | 782 | | — | | 34 | — | — | | 115 | 73 | 95 | | |
| 6. ახალქალაქის | 100 | 457 | 286 | — | 688 | | — | | 31 | — | — | | 55 | 53 | 81 | | |
| 7. ახალციხის | 96 | 519 | 316 | — | 879 | | — | | 20 | 477 | — | | 55 | 53 | 84 | | |
| 8. ბაღდადის | 71 | 569 | 168 | 1108 | 619 | | — | | 16 | 477 | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 9. ბაშკიჩეთის | 85 | 416 | 247 | 495 | 116 | | — | | 28 | — | — | | 109 | 74 | 96 | | |
| 10. ბოგდანოვკის | 92 | 416 | 247 | — | — | | — | | 29 | — | — | | 113 | 80 | 123 | | |
| 11. ბორჩალოს | 102 | 907 | 237 | 995 | 702 | | — | | 34 | 567 | 300 | | 89 | 73 | 94 | | |
| 12. ბორჯომის | 82 | 621 | 316 | 765 | 705 | | — | | 25 | — | — | | 106 | 68 | 82 | | |
| 13. გორის | 88 | 675 | 217 | 775 | 935 | | — | | 25 | — | — | | 98 | 68 | 84 | | |
| 14. გურჯაანის | 90 | 809 | 187 | 1137 | 705 | | — | | 29 | 514 | — | | 98 | 78 | 100 | | |
| 15. დუშეთის | 70 | 613 | 187 | 775 | 792 | | — | | 19 | — | — | | 61 | 63 | 85 | | |
| 16. ვანის | 116 | 626 | 187 | 835 | 879 | | — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 17. ზუგდიდის | 89 | 569 | — | 713 | 705 | | 620 | | 16 | 324 | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 18. თელავის | 75 | 774 | 187 | 1017 | 787 | | — | | 30 | — | — | | 100 | 78 | 100 | | |
| 19. თიანეთის | 73 | 518 | 207 | 545 | 619 | | — | | 20 | — | — | | 66 | 63 | 85 | | |
| 20. კასპის | 83 | 684 | 217 | 775 | 869 | | — | | 25 | — | — | | 97 | 68 | 84 | | |
| 21. ლაგოდეხის | 130 | 870 | 168 | 1007 | 705 | | — | | 29 | 676 | — | | 88 | 78 | 100 | | |
| 22. ლანჩხუთის | 103 | 569 | 168 | 592 | 705 | | 750 | | 16 | — | — | | 76 | 54 | 75 | | |
| 23. ლიუქსემბურგის | 95 | 834 | 316 | 1340 | 616 | | — | | 23 | 568 | 300 | | 89 | 73 | 100 | | |
| 24. გეგეჭკორის | 91 | 518 | — | 551 | 567 | | 860 | | 16 | 325 | — | | 76 | 69 | 80 | | |
| 25. მახარაძის | 103 | 569 | 139 | 592 | 636 | | 900 | | 16 | — | — | | 76 | 54 | 75 | | |
| 26. ონის | 74 | 518 | 207 | 652 | 564 | | — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 27. ორჯონიკიძის | 56 | 518 | 159 | 814 | 705 | | — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 84 | | |

| ავტონომიურ რესპუბლიკებისა, ავტონომიურ ოლქისა და რაიონების დასახელება | მარცვლეული და სხვა … | ბოსტნები და ბაღჩები | კარტოფილი | ვენახები | ხილის ბაღები და სანერგეები | მანდარინების, ლიმონების და სხვა ციტრუსების ნარგავები … | ჩაის პლანტაციები | დაფნის ნარგავები | ბუნებრივი სათიბები | თამბაქო | ბამბა სარწყავ მიწებზე | შაქრის ჭარხალი | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | ცხვრები, თხები და [illegible] | ცხენები და ჯორები | ვირები | ცხენები და [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 28. საგარეჯოს | 98 | 747 | 187 | 996 | 705 | | — | | 22 | — | — | | 103 | 73 | 94 | | |
| 29. სამტრედიის | 89 | 910 | 139 | 592 | 869 | | — | | 16 | 325 | — | | 76 | 69 | 85 | | |
| 30. სიღნაღის | 98 | 746 | 187 | 1017 | 633 | | — | | 29 | 599 | — | | 100 | 76 | 100 | | |
| 31. თბილისის | 97 | 797 | 237 | 1077 | 856 | | — | | 17 | — | — | | 94 | 73 | 94 | | |
| 32. მცხეთის | 97 | 797 | 237 | 1077 | 856 | | — | | 17 | — | — | | 91 | 73 | 94 | | |
| 33. ტყიბულის | 63 | 518 | 158 | 551 | 705 | | 290 | | — | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 34. ფოთის | 77 | 518 | — | — | 663 | | — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 73 | | |
| 35. ქვემო-სვანეთის | 40 | — | 99 | 440 | — | | — | | 16 | — | — | | 33 | 55 | 84 | | |
| 36. ქუთაისის | 68 | 746 | 168 | 835 | 865 | | — | | 16 | — | — | | 76 | 55 | 84 | | |
| 37. წყალტუბოს | 68 | 746 | 168 | 835 | 865 | | — | | 16 | — | — | | 76 | 55 | 81 | | |
| 38. ყაზბეგის | 52 | — | 168 | — | — | | — | | 19 | — | — | | 81 | 63 | 85 | | |
| 39. ყარაიის | 95 | 907 | 266 | 1108 | 705 | | — | | 34 | — | 300 | | 89 | 73 | 94 | | |
| 40. ყვარლის | 116 | 875 | 168 | 1007 | 564 | | — | | 29 | 475 | — | | 98 | 78 | 100 | | |
| 41. ჩოხატაურის | 65 | 467 | 168 | 531 | 722 | ყველგან 5.000 | 480 | ყველგან 1.500 | 16 | 279 | — | ყველგან 120 | 76 | 65 | 75 | ყველგან 15 | ყველგან 6 |
| 42. ჩხარის | 64 | 570 | — | 926 | 702 | | — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 43. ჩხოროწყუს | 78 | 518 | — | 653 | 601 | | 660 | | 16 | 263 | — | | 76 | 68 | 84 | | |
| 44. ცაგერის | 77 | 518 | — | 885 | 619 | | — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 80 | | |
| 45. ცხაკაიას | 86 | 569 | 139 | 653 | 633 | | 490 | | 16 | — | — | | 76 | 69 | 81 | | |
| 46. წალენჯიხის | 74 | 518 | — | 653 | 702 | | 480 | | 16 | 321 | — | | 80 | 69 | 84 | | |
| 47. წალკის | 87 | 409 | 286 | — | — | | — | | 25 | 477 | — | | 106 | 69 | 80 | | |
| 48. წითელწყაროს | 92 | 819 | 168 | 531 | 791 | | — | | 16 | 325 | — | | 76 | 69 | 90 | | |
| 49. ჭიათურის | 59 | 518 | 158 | 682 | 633 | | — | | 16 | — | — | | 76 | 68 | 90 | | |
| 50. საჩხერის | 59 | 518 | 158 | 682 | 633 | | — | | 16 | — | — | | 76 | 68 | 90 | | |
| 51. ხაშურის | 87 | 621 | 218 | 775 | 849 | | — | | 25 | — | — | | 98 | 68 | 82 | | |
| 52. ქარელის | 87 | 621 | 218 | 775 | 849 | | — | | 25 | — | — | | 98 | 68 | 82 | | |
| 53. ხობის | 103 | 518 | — | 525 | 616 | | 430 | | 16 | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 54. ზესტაფონის | 64 | 569 | — | 1108 | 705 | | — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 55. აფხაზეთის ასსრ | 79 | 818 | 139 | 592 | 739 | | 740 | | 25 | 607 | — | | 76 | 69 | 85 | | |
| 56. აჭარის ასსრ | 62 | 621 | 158 | 592 | 705 | | 1150 | | 16 | 454 | — | | 55 | 53 | 85 | | |
| 57. სამხ. ოს. ა. ო. | 73 | 572 | 286 | 663 | 849 | | — | | 19 | — | — | | 66 | 63 | 75 | | |
| სულ საქ. სსრ-ში | 83 | 690 | 235 | 880 | 770 | 5000 | 880 | 1500 | 28 | 600 | 300 | 120 | 75 | 65 | 90 | 15 | 6 |

ბიბლიოთეკა

| ავტონომიურ რესპუბლიკებისა, ავტონომიურ ოლქისა და რაიონების დასახელება | მარცვლეულ. და სხვა კულტურ. (მათ შორის ბამბა ურწყ. მიწებზე), გარდა ამ ცხრილ. სხვა გრაფებში მოხსენ. | ბოსტნები და ბაღჩები | კარტოფილი | ვენახები | ხილის ბაღები და საკენკრეები | მანდარინების, ლიმონის, ფორთოხლის და სხვ. ციტრუსოვანთა ნარგავები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 28. საგარეჯოს | 98 | 747 | 187 | 996 | 705 | |
| 29. სამტრედიის | 89 | 910 | 139 | 592 | 869 | |
| 30. სიღნაღის | 98 | 746 | 187 | 1017 | 633 | |
| 31. თბილისის | 97 | 797 | 237 | 1077 | 856 | |
| 32. მცხეთის | 97 | 797 | 237 | 1077 | 856 | |
| 33. ტყიბულის | 63 | 518 | 158 | 551 | 705 | |
| 34. ფოთის | 77 | 518 | — | — | 663 | |
| 35. ქვემო-სვანეთის | 40 | — | 99 | 440 | — | ყველგან 5.000 მანეთი |
| 36. ქუთაისის | 68 | 746 | 168 | 835 | 865 | |
| 37. წყალტუბოს | 68 | 746 | 168 | 835 | 865 | |
| 38. ყაზბეგის | 52 | — | 168 | — | — | |
| 39. ყარაიის | 95 | 907 | 266 | 1108 | 705 | |
| 40. ყვარლის | 116 | 875 | 168 | 1007 | 564 | |
| 41. ჩოხატაურის | 65 | 467 | 168 | 531 | 722 | |
| 42. ჩხარის | 64 | 570 | — | 926 | 702 | |
| 43. ჩხოროწყუს | 78 | 518 | — | 653 | 601 | |
| 44. ცაგერის | 77 | 518 | — | 885 | 619 | |
| 45. ცხაკაიას | 86 | 569 | 139 | 653 | 633 | |
| 46. წალენჯიხის | 74 | 518 | — | 653 | 702 | |
| 47. წალკის | 87 | 409 | 286 | — | — | |
| 48. წულუკიძის | 92 | 819 | 168 | 531 | 792 | |
| 49. ჭიათურის | 59 | 518 | 158 | 682 | 633 | |
| 50. საჩხერის | 59 | 518 | 158 | 682 | 633 | |
| 51. ხაშურის | 87 | 621 | 218 | 775 | 849 | |
| 52. ქარელის | 87 | 621 | 218 | 775 | 849 | |
| 53. ხობის | 103 | 518 | — | 525 | 616 | |
| 54. ზესტაფონის | 64 | 569 | — | 1108 | 705 | |
| 55. აფხაზეთის ასსრ | 79 | 818 | 139 | 592 | 739 | |
| 56. აჭარის ასსრ | 62 | 621 | 158 | 592 | 705 | |
| 57. სამხ. ოს. ა. ო. | 73 | 572 | 286 | 663 | 849 | |
| სულ საქ. სსრ-ში | 83 | 690 | 235 | 880 | 770 | 5000 |

მუხ. 66
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

| ჩაის პლანტაციები | დაფნის ნარგავები | ბუნებრივი სათიბები | თამბაქო | ბამბა სარწყავ მიწებზე | მაქოის ქარხალი | მსხვილფეხა პროდუქტიული პირუტყვი | მოზვრები, ხარები და კამბეჩები | ცხენები და ჯორები | ვირები | ცხვრები და თხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| — | ყველგან 1.500 მანეთი | 22 | — | — | ყველგან 120 მანეთი | 103 | 73 | 94 | ყველგან 15 მანეთი | ყველგან 6 მანეთი |
| — | | 16 | 325 | — | | 76 | 69 | 85 | | |
| — | | 29 | 599 | — | | 100 | 76 | 100 | | |
| — | | 17 | — | — | | 94 | 73 | 94 | | |
| — | | 17 | — | — | | 94 | 73 | 94 | | |
| 290 | | — | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 73 | | |
| — | | 16 | — | — | | 33 | 55 | 84 | | |
| — | | 16 | — | — | | 76 | 55 | 84 | | |
| — | | 16 | — | — | | 76 | 55 | 81 | | |
| — | | 19 | — | — | | 81 | 63 | 85 | | |
| — | | 34 | — | 300 | | 89 | 73 | 94 | | |
| — | | 29 | 475 | — | | 98 | 78 | 100 | | |
| 480 | | 16 | 279 | — | | 76 | 65 | 75 | | |
| — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 660 | | 16 | 263 | — | | 76 | 68 | 84 | | |
| — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 80 | | |
| 490 | | 16 | — | — | | 76 | 69 | 81 | | |
| 480 | | 16 | 321 | — | | 80 | 69 | 84 | | |
| — | | 25 | 477 | — | | 106 | 69 | 80 | | |
| — | | 16 | 325 | — | | 76 | 69 | 90 | | |
| — | | 16 | — | — | | 76 | 68 | 90 | | |
| — | | 16 | — | — | | 76 | 68 | 90 | | |
| — | | 25 | — | — | | 98 | 68 | 82 | | |
| — | | 25 | — | — | | 98 | 68 | 82 | | |
| 430 | | 16 | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| — | | 16 | — | — | | 76 | 69 | 84 | | |
| 740 | | 25 | 607 | — | | 76 | 69 | 85 | | |
| 1150 | | 16 | 454 | — | | 55 | 53 | 85 | | |
| — | | 19 | — | — | | 66 | 63 | 75 | | |
| 880 | 1500 | 28 | 600 | 300 | 120 | 75 | 65 | 90 | 15 | 6 |

Г,КЕ ИМЭЛ
1 1 12 [illegible]

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

დააბრუნეთ წიგნი არა უგვიანეს აღნიშნულ ვადისა
Возвратите КНИГУ не позже обозначен. здесь срока

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

სა [illegible]
მთავლიტის რწმ. № ო—402 შეკ. № [illegible]